



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Bachelor's Program in Sociology

უმალესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური პროგრამა

სწავლების ენა	
	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი სოციოლოგიაში (0706) – 240 კრედიტი. პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ სურვილის შემთხვევაში სტუდენტმა 180 კრედიტის დაგროვების შემდეგ მიიღოს (Minor) - დამატებითი სპეციალობა, 60 კრედიტის ფარგლებში
ინლისურად:	Bachelor of Social Sciences in Sociology (0706)

საბაკალავრო პროგრამის დამტკიცების და განახლების თარიღი	დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2012 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით 01/01-33; განახლებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2013 წლის 27 აპრილის ბრძანებით 01/01-13, 2013 წლის 18 სექტემბრის #07/01-02 ბრძანებით, 2013 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით 01/01-27; 2014 წლის 31 მაისის 01/01/-68 ბრძანებით და 2015 წლის 31 ივლისის ბრძანებით #01/01-20. 2017 წლის 17 თებერვლის ბრძანებით #01/01-03, 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით №01/01-15
--	---

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	ფლორა ესეგუა
------------------------------------	--------------

ინფორმაცია იხ. “ პროგრამის ხელმძღვანელის CV”	ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიის დოქტორი
დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2012 წლის 20 ნოემბრის #01/01-33 ბრძანებით	

<b>პროგრამის მოცულობა კრედიტებით</b>	
<p>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ.საათს).</p> <p>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</p> <p>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, აქედან 125 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო საგნებს, 20 ECTS კრედიტი - უცხო ენების (ინგლისური ენა) მოდულს, ხოლო 35 ECTS კრედიტი - ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს. სტუდენტს საშუალება აქვს დარგობრივ სოციოლოგიაში შეთავაზებული 120 ECTS კრედიტიდან აირჩიოს 60 ECTS კრედიტი არჩევითი საგნების გავლით.</p> <p><b>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს</b> საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 240 ECTS კრედიტიდან 180 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ (მათ შორის 125 ECTS მაპროფილებელ დისციპლინებში) დასაშვებია მიენიჭოს ”შუალედური კვალიფიკაცია” სოციალურ მეცნიერებების მიმართულებით, სოციოლოგიის სპეციალობაში.</p> <p><b>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს</b> სწავლების მეოთხე წელს პროგრამა აძლევს საშუალებას, რომ აირჩიოს სოციოლოგიის არჩევითი საგნების სამი მოდულიდან ორი, რითიც გაიღმავებს ცოდნას მისი ინტერესის შესაბამისად სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მიენიჭება სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია სოციოლოგიაში.</p> <p><b>მოცემულ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს</b> სწავლების მეოთხე წელს პროგრამა ასევე —აძლევს საშუალებას, რომ აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლასა და სახელმწიფო მართვის სკოლაში მოქმედ Minor დამატებით სპეციალობის ნებისმიერ პროგრამაზე, 60 კრედიტის ფარგლებში;</p> <p>სოციოლოგიის მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა აძლევს საშუალებას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლასა და სახელმწიფო მართვის სკოლის <b>სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს</b>, რომ დამამთავრებელ მეოთხე ეტაპზე, სწავლა განაგრძონ სოციოლოგიის Minor დამატებითი სპეციალობის პროგრამაზე. ამ შემთხვევაში სტუდენტი Minor დამატებით სპეციალობის მისაღებად ამ პროგრამის სამი არჩევითი მოდულიდან ირჩევს ორს, აგროვებს სემესტრში 30 კრედიტს, წელიწადში კი, შესაბამისად, 60 კრედიტს.</p>	

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

<p><b>საბაკალავრო პროგრამის მიზანი</b></p>	<p>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან/და სოციოლოგიის დამატებითი სპეციალობის მქონე კურსდამთავრებულის მომზადება. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სოციოლოგიურ თეორიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში ბაკალავრისათვის საბაზისო ცოდნის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, პროგრამა მოწოდებულია სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები.</p> <p><b>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი თავისებურებების, სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების, ზოგადსოციოლოგიური პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებრივი თანაცხოვრების წინააღმდეგობებისა და განვითარების სამომავლო ტენდენციების შესახებ.</li> <li>• უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სოციოლოგიურ თეორიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული საბაზისო ცოდნის დაუფლება და მის საფუძველზე ემპირიული, კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ - ჩვევების გამომუშავება.</li> </ul> <p><b>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების, გლობალური ცვლილებების, განვითარების ტენდენციების ხედვისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიქცევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;</li> <li>• სოციოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი;</li> <li>• საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პრობლემების სწრაფად გაცნობიერების და დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის საჭირო უნარი;</li> <li>• საზოგადოებრივ და სოციალურ სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;</li> <li>• სოციოლოგიური და სოციალური თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და კომპლექსური სოციალური საკითხების გაცნობიერების უნარი;</li> <li>• იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, აგრეთვე ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი;</li> <li>• თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;</li> </ul>
--	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;</li> <li>ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი.</li> </ul>
<p><b>საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგი</b></p>	<p>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს <b>ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს</b>.</p> <p>ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას, აბსტრაქტულ აზროვნებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, მის ანალიზსა და სინთეზს;</li> <li>პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი არსის ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარებას და მისი გადაწყვეტის ადეკვატური გზების შერჩევას, აგრეთვე პრობლემის გადაწყვეტის შერჩეული მიდგომების დასაბუთებას;</li> <li>წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ანალიტიკური ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას;</li> <li>მონაცემების შეგროვებას, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს;</li> <li>დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას;</li> <li>ქართულ და უცხოურ ენებზე იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას;</li> <li>ინფორმაციის წყაროების (ბიბლიოგრაფია, დოკუმენტები, ვებგვერდები) დადგენას და შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით დამატებითი ინფორმაციის მოძიებას;</li> <li>ცოდნის მუდმივად განახლებას, აგრეთვე კრიტიკულ აზროვნებასა და თვითკრიტიკას;</li> <li>უცხო გარემოში ადაპტირებასა და მოქმედებას, აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობასა და დიალოგის წარმოებას;</li> <li>პრაქტიკულ საქმიანობაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას;</li> <li>დროის რაციონალურად გამოყენებას და განაწილებას.</li> <li>საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას;</li> <li>ახალი იდეების გენერირების, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი მოსაზრებების საჯარო წარდგენის უნარების გამომუშავებას.</li> </ul> <p><b>დარგობრივი კომპეტენციების</b> საფუძველზე სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძენს ფართო ცოდნას თანამედროვე მსოფლიოსა და ქართული საზოგადოების სოციალური სისტემის სტრუქტურების თავისებურებების, პრინციპებისა და ძირითადი სოციალური ინსტიტუტების: ოჯახის, რელიგიის, პოლიტიკის, განათლების, მასმედიის, ეკონომიკის, კულტურისა და საზოგადოების დამოკიდებულების და სოციოლოგიის კონკრეტული დარგებში.</p> <p><b>დარგობრივი კომპეტენციების</b> საფუძველზე სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული ექნება სოციალური თანაცხოვრების არსი და სოციოლოგიის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა ღია, თავისუფალი და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მქონე საზოგადოების ფორმირებისათვის.</p>

	<p>კურსდამთავრებულს ექნება უნარი, გააცნობიეროს და განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზები და ჩამოაყალიბოს ზოგიერთი რეკომენდაცია ამ პრობლემების გადასაჭრელად. ექნება უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ სოციოლოგიურ პროექტებში და ხარისხიანად აწარმოოს კვლევის თავისი ნაწილი არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით.</p> <p><b>დარგობრივი კომპეტენციების</b> საფუძველზე სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება: სოციოლოგიური მეცნიერების თეორიული საფუძვლების, სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე განვითარების ტენდენციებისა და სოციოლოგიური მიდგომების ფართო ცოდნა. დაუფლებული იქნება სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას, მეთოდიკას და ტექნიკას და შეძლებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სოციოლოგიური გამოკვლევის დამოუკიდებლად ჩატარებას. გააცნობიერებული ექნება სოციოლოგიური პრობლემებისადმი მიკრო და მაკრო მიდგომები და ხედვები; გააცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას პროფესიულ საქმიანობაში. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრს სოციოლოგიაში შეეძლება მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების მოძიება და გამოყენება; ზოგადსოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული ცოდნა მას საშუალებას მისცემს სწორედ აღიქვას თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემები და მათი განვითარების დინამიკა; გამომუშავებული ექნება სოციოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები; შეეძლება ზოგადად სოციალური პრობლემისა და თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, გამოკვლევის ჩატარება და ანალიზი; დისკუსიაში საკუთარი აზრის დასაბუთება.</p>
<p><b>დასაქმების სფეროები</b></p>	<p>სოციოლოგიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი, პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციებს, ფირმებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საკონსულტაციო-ანალიტიკურ ცენტრებსა და კომპანიებს შეიძლება დასჭირდეს. უფრო კონკრეტულად სოციოლოგიის ბაკალავრს შეეძლება დასაქმდეს: განათლების, პოლიტიკის, ეკონომიკის, მედიცინის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში ექსპერტ-ანალიტიკოსად; მარკეტინგისა და პიარ-კომპანიებში, იმიჯ-ცენტრებში; მედიისა და კომუნიკაციების სფეროში, სარეკლამო სააგენტოებში; არტ-სააგენტოებში და არტ-ბიზნესის სფეროში; საგამომცემლო ბიზნესში; სოციოლოგიური და ანალიტიკური კვლევის ცენტრებში; სხვადასხვა ორგანიზაციების მართვისა და მენეჯმენტის სფეროში.</p>
<p><b>სწავლის გაგრძელების საშუალება</b></p>	<p>სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, კანონით დადგენილი წესისამებრ.</p>

**სტუდენტის ცოდნის  
შეფასების  
სისტემა**

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული კომპონენტების წილისგან შედგება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებებს;
- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუასემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

**შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:**

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**სწავლებისა და სწავლის  
მეთოდები**

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული იქნება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში  
მონაწილე პირები**

- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი - 8 სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი;

- პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები;
- მოწვეული სპეციალისტები

**საბაკალავრო პროგრამის განხორციელების სხვა რესურსები**

კავკასიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:**

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;
- ჩესტერის უნივერსიტეტი;
- ზაარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია);
- ლუბლიანას უნივერსიტეტი (სლოვენია);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- თბილისის 33 საჯარო და კერძო სკოლა;
- ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინსტიტუტი.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

- კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკები;
- 3 ლოკალური ქსელი და ინტერნეტი (უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია)
- 3 კომპიუტერულიცენტრი (80 კომპიუტერი) და სტუდენტებისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული 150-მდე პერსონალური კომპიუტერი.
- სასწავლო აუდიტორიები.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებულია კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სილაბუსები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
ადწერილობები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის



**სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა  
(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)**

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			<b>ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები:</b>	<b>20</b>	<b>15</b>								<b>35</b>
1.	HIST 0003	არ გააჩნია	საქართველოს ისტორია	5									5
2.	CSC 1160✓	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები✓	5									5
3.	PHIL 0005	არ გააჩნია	ფილოსოფია	5									5
4.	CA 1260	არ გააჩნია	კლასიკური ანთროპოლოგია		5								5
5.	ACWR 1160	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5									5
6.	DEM 1260	არ გააჩნია	დემოგრაფია		5								5
7.	PSYC 0006	არ გააჩნია	შესავალი ფსიქოლოგიაში		5								5
			<b>მოდული - ინგლისური ენა</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>	<b>5</b>						<b>20</b>
8.	ENGL 0005/ ENGL 0007	არ გააჩნია	B1.0 ზოგადი ინგლისური/ B2.0 ზოგადი ინგლისური	5									5
9.	ENGL 0006/ ENGL 0008	ENGL 0005/ ENGL 0007	B1 ზოგადი ინგლისური/ B2 ზოგადი ინგლისური		5								5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
10.	ENGL 0007/ ENGL 0009	ENGL 0006/ ENGL 0008	B2.0 ზოგადი ინგლისური/ C 1.0 ზოგადი ინგლისური			5							5
11.	ENGL 0008/ ENGL 0010	ENGL 0007/ ENGL 0009	B2 ზოგადი ინგლისური/ C 1 ზოგადი ინგლისური				5						5
			<b>მოდული - პროფესიული უცხო ენა</b>					5	5				10
12.	ENGS 0160	ENGL 0007- 0008/ ENGL 0009-0010	PT 1 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)					5					5
13.	ENGS 0260	ENGS 0160	PT 2 პროფესიული სამიზნე ენა (სოციალური მეცნიერებები)						5				5
			<b>მოდული - მეორე უცხო ენა</b>			5	5	5	5				20
14.	FREN/GERM /ESP 0001	არ გააჩნია	მეორე უცხო ენა A1.0			5							5
15.	FREN/GERM /ESP 0002	FREN/GERM/ES P 0001	მეორე უცხო ენა A1				5						5
16.	FREN/GERM /ESP 0003	FREN/GERM/ES P 0002	მეორე უცხო ენა A2.0					5					5
17.	FREN/GERM /ESP 0004	FREN/GERM/ES P 0003	მეორე უცხო ენა A2						5				5
			<b>მოდული - სოციოლოგიური თეორიები</b>	5	5	10	5	7					32
18.	ISOC 1160	არ გააჩნია	სოციოლოგიის შესავალი	5									5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
19.	PST 1260	არ გააჩნია	პროტოსოციოლოგიური თეორიები		5								5
20.	CST 2160	PST 1260 ISOC 1160	კლასიკური სოციოლოგიური თეორიები			5							5
21.	MST 2260	CST 2160	თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები				5						5
22.	BCT 2160	ISOC 1160	კომუნიკაციის სოციოლოგიური თეორიის საფუძვლები			5							5
23.	PMST 3160	MST 2260	გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიები					7					7
			<b>მოდული - სოციოლოგიური კვლევის მეთოდები</b>		5	10	5		7				27
24.	RESH 1260	არ გააჩნია	შესავალი კვლევის მეთოდებში		5								5
25.	QSRM 2160	RESH 1260	თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები			5							5
26.	SSS 2160	RESH 1260	სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებში			5							5
27.	QSRM 2260	QSRM 2160	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები				5						5
28.	SPSS 3260	AD 3160	SPSS პროგრამა						7				7
			<b>მოდული - სოციოლოგიური კვლევის მონაცემთა ანალიზი</b>				5	6					11
29.	SR 2260	QSRM 2160	სოციოლოგიური კვლევა: თვისებრივი მონაცემების დამუშავება				5						5
30.	SR 3160	QSRM 2260	სოციოლოგიური კვლევა: რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება					6					6
			<b>მოდული - კულტურა და საზოგადოება</b>					7	7				14
31.	SC 3160	ISOC 1160	კულტურის სოციოლოგია					7					7
32.	MS 3260	ISOC 1160 BCT 2160	მედიის სოციოლოგია						7				7

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
			<b>მოდული - პოლიტიკა და საზოგადოება</b>				<b>5</b>		<b>6</b>				<b>11</b>
33.	NT 2260	ISOC 1160	ნაციონალიზმის თეორიები				5						<b>5</b>
34.	PS 3260	ISOC 1160	პოლიტიკური სოციოლოგია						6				<b>6</b>
			<i>(Minor) - დამატებითი სპეციალობა</i>  არჩევითი სასწავლო კურსები დარგობრივ სოციოლოგიაში										
			<b>მოდული - კომუნიკაციის სოციოლოგია</b>								<b>30</b>		<b>30</b>
35.	SC 0001	არ გააჩნია	ვიზუალური სოციოლოგია								5'		5
36.	SC 0002	არ გააჩნია	კიბერსივრცეებიდან სოციალურ მედიამდე								5'		5
37.	SC 0003	არ გააჩნია	ენის სოციოლოგია								5'		5
38.	SC 0004	არ გააჩნია	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები								5'		5
39.	SC 0005	არ გააჩნია	კომუნიკაციის ძალაუფლება (მ. კასტელსი)								5'		5
40.	SC 0006	არ გააჩნია	მედია და ხელისუფლება								5'		5
41.	SC 0007	არ გააჩნია	ინფორმაციული საზოგადოების თეორიები								5'		5
42.	SC 0008	არ გააჩნია	კულტურათაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები								5		5
43.	SC 0009	არ გააჩნია	მართვის უნარები და ლიდერობა								5'		5
			<b>მოდული - სოციალური ცვლილებები თანამედროვე მსოფლიოში</b>									<b>30</b>	<b>30</b>
44.	SCMW 0001	არ გააჩნია	გლობალური სოციალური ტრანსფორმაციები								5'		5
45.	SCMW 0002	არ გააჩნია	კონფლიქტის სოციოლოგია								5'		5

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი								ECTS კრედიტი	
				I		II		III		IV			
				E ECTS კრედიტი									
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი		
46.	SCMW 0003	არ გააჩნია	თანამედროვე ურბანიზმი - ქალაქის სოციოლოგია									5'	5
47.	SCMW 0004	არ გააჩნია	დანაშაულის სოციოლოგია									5'	5
48.	SCMW 0005	არ გააჩნია	ჯანმრთელობისა და მედიცინის სოციოლოგია: დაბერების პრობლემები									5'	5
49.	SCMW 0006	არ გააჩნია	სოციალური მოძრაობები, პროტესტი, რევოლუცია									5'	5
50.	SCMW 0007	არ გააჩნია	ქალთა მოძრაობები და გენდერის სოციოლოგია: თანამედროვე კვლევები									5'	5
51.	SCMW 0008	არ გააჩნია	დემოკრატია და მოქალაქეობა									5	5
			<b>მოდული - სოციალური ინსტიტუტები</b>									<b>30</b>	<b>30</b>
52.	SI 0001	არ გააჩნია	სიყვარული, ქორწინება და ოჯახი(ოჯახის სოციოლოგია)									5'	5
53.	SI 0002	არ გააჩნია	განათლება: მასობრივი და ელიტარული (განათლების სოციოლოგია)									5'	5
54.	SI 0003	არ გააჩნია	რელიგია: თანამედროვე გამოწვევები (რელიგიის სოციოლოგია)									5'	5
55.	SI 0004	არ გააჩნია	შრომა და ეკონომიკური ცხოვრება (ეკონომიკური სოციოლოგია)									5'	5
56.	SI 0005	არ გააჩნია	პოლიტიკა, ძალაუფლება და სახელმწიფო (პოლიტიკისა და ძალაუფლების სოციოლოგია)									5'	5
57.	SI 0006	არ გააჩნია	მეცნიერების სოციოლოგია									5'	5
58.	SI 0007	არ გააჩნია	ხელოვნების სოციოლოგია									5'	5
				სემესტრში	30	30	30	30	30	30	30	30	30

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი	
				I	II	III	IV		
				E ECTS კრედიტი					
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი
საგნების/მოდულების რაოდენობა წელიწადში			წელიწადში	60	60	60	60		
				10	10	10	10		

**შენიშვნა :**

- ✓ სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად, სტუდენტს სწავლების მე-4 წელს (სწავლების მე-4 ეტაპი) სთავაზობს სოციოლოგიური დარგების სამ მოდულს არჩევით სასწავლო კურსებით: კომუნიკაციის სოციოლოგია, სოციალური ინსტიტუტები, სოციალური ცვლილებები თანამედროვე მსოფლიოში. სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღმავოს ცოდნა მისი ინტერესის შესაბამისად და კონცენტრაცია გააკეთოს არჩევითი მოდულებიდან მისთვის სასურველ ორ მოდულზე. ამასთან, არჩევითი მოდულებიდან სტუდენტი ერთს გადის მეშვიდე, მეორეს კი, - მერვე სემესტრში (არჩევითი მოდულების კრედიტები აღნიშნულია *ფიფქებით*). თითოეული არჩევითი მოდული მოიცავს 8 სასწავლო კურსს ანუ 40 ECTS კრედიტს, საიდანაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს არჩევითობის პრინციპის გამოყენებით სემესტრში დარეგისტრირდეს 6 საგანზე და აითვისოს 30 ECTS კრედიტი.
- ✓ სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლების მეოთხე წელს პროგრამა ასევე აძლევს საშუალებას, რომ აირჩიოს და სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სახელმწიფო მართვის სკოლებში მოქმედ Minor დამატებით სპეციალობის ნებისმიერ პროგრამაზე, 60 კრედიტის ფარგლებში;
- ✓ მოცემული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები ერთიანობაში იძლევა Minor დამატებითი სპეციალობის მიღების საშუალებას სოციოლოგიაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სახელმწიფო მართვის სკოლებში არსებული სხვა საბაკალავრო პროგრამის მეოთხე ეტაპის სტუდენტებისათვის, რომლებიც ირჩევენ სამი მოდულიდან ორს. თითოეული არჩევითი მოდული მოიცავს 8 სასწავლო კურსს ანუ 40 ECTS კრედიტს, საიდანაც სტუდენტს შესაძლებლობა აქვს არჩევითობის პრინციპის გამოყენებით სემესტრში დარეგისტრირდეს 6 საგანზე და აითვისოს 30 ECTS კრედიტი, წელიწადში, შესაბამისად, 60 კრედიტი.

✓ CSC 1160 საინფორმაციო ტექნოლოგიები (მითითებული სიმბოლო ✓) – შეცვალა GED 1160 საოფისე კომპიუტერული პროგრამები.

შენიშვნა:

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამებიდან, პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ან სხვა ECTS კრედიტის მიმნიჭებელი პროგრამებიდან რელევანტურ საგნებში თავისუფალი/ალტერნატიული კრედიტების სახით დააგროვოს ECTS კრედიტები

